



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



საქართველოში საჯარო მონაცემების ეკოსისტემის მთავარი გამოწვევები და საჭიროებები

თბილისი, 2022

საქართველოში საჯარო მონაცემების ეკოსისტემის მთავარი გამოწვევები და საჭიროებები



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, საერთაშორისო მედიის მხარდაჭერის (IMS - International Media Support) ფინანსური დახმარებით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი IDFI. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

შინაარსი

შესავალი	4
მონაცემების გლობალური ბარომეტრის ძირითადი მიგნებები.....	5
ღია მონაცემების მზაობის კვლევის ძირითადი მიგნებები	8
ღია მონაცემთა აღწერის (Open Data Inventory - ODIN) ძირითადი მიგნებები	10
დასკვნა	14
დანართები.....	16
დანართი I.....	16
დანართი II.....	17
დანართი III.....	19
დანართი IV.....	19

შესავალი

საჯარო ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესების, საჯარო სექტორის მოდერნიზაციისა და მმართველობის რეფორმირების განხორციელების თვალსაზრისით. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი პოტენციალით გამოირჩევა ღია მონაცემები, რომლებიც თავისუფლადაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მარტივია მათი დამუშავება და სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენება. ღია მონაცემების დახმარებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტენდენციებისა და გარემოებების იდენტიფიცირება და პროგნოზირება, ასევე, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, სერვისების გაუმჯობესება და ახალი ინოვაციური აპლიკაციების შექმნა.

მსოფლიოში ციფრული განვითარებისა და ღია მმართველობის პრაქტიკების გავრცელების პარალელურად, ღია მონაცემების ეკოსისტემების გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება. საჯარო ადმინისტრირებისა და სხვა მსგავსი რეფორმების განხორციელების ჭრილში საქართველოშიც გვხვდება იგივე ტენდენცია, თუმცა, ცალკეული მიღწევების პარალელურად, შეინიშნება მნიშვნელოვანი გამოწვევები და პერიოდული სტაგნაცია.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ორგანიზაციის მისიისა და ხედვის შესაბამისად, დაარსებიდან დღემდე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა დონეზე ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ აქტივობებსა და ინიციატივებში. აქედან გამომდინარე, IDFI-ს გააჩნია ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში არსებული ძირითადი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პრაქტიკული საჭიროებების ყოვლისმომცველი და კონტექსტუალური შეფასების გამოცდილება და ექსპერტიზა.


ანალიზი მიზნად ისახავს მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და მართვის პრაქტიკის თვალსაზრისით საქართველოს ძირითადი გამოწვევების და საჭიროებების გამოვლენას, რაც სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებსა და ინდექსებში ქვეყნის შედეგების მიმოხილვას და შედარებას დაეყრდნობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება 2022 წლის მაისში გამოქვეყნებულ [მონაცემების გლობალურ ბარომეტრზე \(GDB\)](#), რომლის [რეგიონალური კოორდინატორი](#) იყო IDFI. ანალიზი ასევე ითვალისწინებს ღია მონაცემთა ადწერის ([Open Data Inventory \(ODIN\)](#)) და [ღია მონაცემთა მზაობის ანგარიშის \(ODM\)](#) უახლეს შედეგებს. მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეფასების GDB-ის მიერ გამოყენებული მიდგომა ყველაზე ყოვლისმომცველად შეიძლება ჩაითვალოს. მაშინ როცა, ODIN, კონკრეტულად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურების (NSOs) მიერ მოწოდებულ მონაცემებს ეხება, ხოლო ODM ძირითადად ორიენტირებულია მთავრობის ღია მონაცემთა პორტალებზე.

მონაცემების გლობალური ბარომეტრის ძირითადი მიგნებები

მონაცემების გლობალური ბარომეტრი (GDB) წარმოადგენს საერთაშორისო კვლევას, რომელიც ღია მონაცემების ბარომეტრის მეთოდოლოგიის გამოყენებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მონაცემების მნიშვნელობასა და სარგებელს აფასებს. საერთო მეთოდოლოგიასა და სხვადასხვა ინდიკატორზე დაყრდნობით, GDB აფასებს 109 ქვეყანას, შედეგების მიხედვით კი მათ რეიტინგს ადგენს. ბარომეტრი საშუალებას გვაძლევს არსებული გამოწვევები, ასევე კარგი პრაქტიკები გამოვკვეთოთ და ქვეყნები ერთმანეთს შევადაროთ. GDB აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ ჰაბებთან, თემატურ პარტნიორებთან, მთავრობებთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ასევე აკადემიურ წრებთან და მედიასთან.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ჩატარებული კვლევის ფარგლებში - რომელსაც კოორდინირებას IDFI უწევდა - საუკეთესო შედეგები უკრაინაში დაფიქსირდა. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია GDB-ის ყველა ინდიკატორისა და მოდულის შედეგად მიღებული საშუალო ქულა, 100 ბალიან სკალაზე. ამ მხრივ, რეგიონის 12 ქვეყნიდან საქართველო 40.25 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს - უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის და მოლდოვას შემდეგ.

ჯამური შეწონილი ქულა



წარმოგიდგენთ ანგარიშის ფარგლებში გამოვლენილ ტენდენციებს, გამოწვევებსა და შესაბამისად შემუშავებულ რეკომენდაციებს:

- მონაცემთა მართვის/განკარგვის ინდიკატორების მიხედვით, საქართველო რეგიონში მეშვიდე ადგილს იკავებს 34.54 ქულით. შედეგებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია მონაცემთა ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის და დაცვის რეგულაციების, პროცესებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბება/გაუმჯობესება, და ამ მხრივ არსებული ძალისხმევის გაძლიერება. განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი საჭიროებები: ღია მონაცემების ერთიანი პოლიტიკა, საჯარო მონაცემების მიმოცვლის საკანონმდებლო ჩარჩო და საჯარო მონაცემების მართვის/განკარგვის ერთიანი სტანდარტი.
- მონაცემების შესაძლებლობების თვალსაზრისით, აუცილებელია უკვე არსებული, ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალის გააქტიურება და მასზე მნიშვნელოვანი მონაცემების რეგულარულად განთავსება. საწყის ეტაპზე, ამ პროცესში სასურველია ჩართული იყოს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელიც აგროვებს და ამუშავებს საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის საჯარო მონაცემებს. ამავდროულად, გამოიკვეთა ადგილობრივ დონეზე მონაცემების განკარგვის შესაძლებლობების განვითარების საჭიროება.
- პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მოდულში, საქართველომ საუკეთესო შეფასება ქონებრივი დეკლარაციების ინდიკატორში დაიმსახურა. ამ მხრივ, მთავარ საჭიროებას, აღნიშნული მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ამავე მოდულის ფარგლებში გამოიკვეთა საჯარო კონსულტაციების, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესების, ასევე ამ მიმართულებით მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობა.
- საქართველოში მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების სრულად მისაღებად დაწესებულია საფასური, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მონაცემების ხელმისაწვდომობას. ამ კომპონენტში, ღია სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია ფინანსური ბარიერის (Paywall) მოხსნა.
- სახელმწიფო აგროვებს და აქვეყნებს მონაცემებს კერძო კომპანიების შესახებ, თუმცა, ასეთივე მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ აღნიშნულ მონაცემთა გამოყენების წახალისება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების მიღება და დანერგვა.
- აუცილებელია საჯარო ფინანსების მიმართულებით საბიუჯეტო მონაცემები გახდეს ელექტრონულად დამუშავებად ფორმატში ერთიანად ხელმისაწვდომი; ინდივიდუალური ტრანზაქციები აისახოს ჩამოიღებად, ხოლო სტრუქტურირებული მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება განმტკიცდეს საკანონმდებლო დონეზე.

- მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოხდეს ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და რეალურ დროში გამოქვეყნება, ხოლო ვაქცინაციის შესახებ მონაცემები გახდეს ხელმისაწვდომი ერთიან, ელექტრონულად დამუშავებად ფორმატში, და იყოს წარმოდგენილი ჩაშლილად, სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით.
- მნიშვნელოვანია დაიწყოს მონაცემების შეგროვება კლიმატის მიმართულებით, ასევე მოხდეს ინფორმაციის დამუშავება სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შესახებ როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

GDB ინდიკატორები, რომლებშიც საქართველო ყველაზე დაბალი ქულებით შეფასდა ¹	
ინდიკატორი	ქულა (100-დან)
მმართველობის მოდული	
მონაცემების მართვა/განკარგვა	0
მონაცემთა მიმოცვლის მექანიზმები	0
ღია მონაცემების პოლიტიკა	0
შესაძლებლობების მოდული	
მონაცემების გამოყენების მხარდაჭერა	11
შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე	11
კლიმატის მონაცემები	
მონაცემები სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შესახებ	0
ჯანდაცვა და კოვიდ-19	
ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლებს რეალურ დროში	0
უძრავი ქონების რეესტრი	
მონაცემების გამოყენება გენდერული	4

¹ თითოეული ინდიკატორის აღწერა იხილეთ I დანართში.

ინკლუზიურობის მიზნით	
პოლიტიკური ანგარიშვალდებულება	
საჯარო კონსულტაციები ²	0
ლობისტური აქტივობების მონაცემები	16
პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მონაცემების ურთიერთთავსებადობა	0

ღია მონაცემების მზაობის კვლევის ძირითადი მიგნებები

ღია მონაცემების მზაობის (Open Data Maturity - ODM) შეფასება წარმოადგენს ევროპულ მონაცემთა პორტალების ყოველწლიურ შეფასებას. ანგარიში ასახავს ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარების ყოვლისმომცველ სურათს ევროკავშირის (EU27) და ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებში. 2020 წელს, ამ შეფასებაში პირველად მოხვდა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი რამდენიმე ქვეყანა (აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა და საქართველო). შეფასების თანახმად, ღია მონაცემების მზაობა ოთხი მიმართულებით იზომება: პოლიტიკა, გავლენები, ღია მონაცემების პორტალი და ხარისხი. კვლევის უახლესი გამოცემა 2022 წლის მარტში გასაჯაროვდა და 2021 წლის შედეგებს ასახავს.

ბოლო შეფასების მიხედვით, 34 შესწავლილ ქვეყანას შორის საქართველომ ბოლო ადგილი დაიკავა ODM-ის ოთხივე კომპონენტში.

ანგარიშში საქართველოსთან მიმართებით ხაზგასმული იყო შემდეგი საკითხები:

- ღია მონაცემების მზაობის 2021 წლის შედეგების თანახმად, გაუმჯობესება აღინიშნება შესწავლილი ქვეყნების უმრავლესობაში. საქართველოს შედეგები კი უცვლელია.
- საქართველოში მხოლოდ რამდენიმე საჯარო უწყებას აქვს განთავსებული მონაცემთა ბაზები ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალზე. ასევე, არ ხდება პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზების განახლება.

² 2021 წლის მაისის შემდეგ გარკვეული პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა კონსულტაციების მონაცემების გამოქვეყნების კუთხით, რაც შესაძლოა დადებითად აისახოს ქვეყნის შედეგზე შემდეგ შეფასებაში.

- საქართველოში არ ხდება ღია მონაცემების გამოყენების ხარისხის, ასევე, მონაცემების გამოყენებით დამდგარი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგების შეფასება.

ODM-ის ანგარიშისა და საქართველოს შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები და შემუშავდა ცალკეული რეკომენდაციები:

- ამ ეტაპზე, საქართველოს შემუშავებული არ აქვს ღია მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და ეროვნული სტრატეგია, რის გამოც ქვეყანამ ღია მონაცემების პოლიტიკის ინდიკატორებში დაბალი შედეგი აჩვენა. სასურველია ამ დოკუმენტებზე მუშაობის დროულად დაწყება, ან ღია მონაცემების კომპონენტის დამატება ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განახლებულ ვერსიაში, რათა მკაფიოდ განისაზღვროს ღია მონაცემების მნიშვნელობა ეროვნულ დონეზე.
- მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეებისთვის ერთიანი სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც მათ დაეხმარება ღია მონაცემების დამუშავება/გამოქვეყნებაში. ანალოგიური სახელმძღვანელო უკვე დანერგილია აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა შესწავლილ ქვეყნებში.
- კვლევის ფარგლებში შესწავლილ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მწირია ღია მონაცემების გავლენებისა და შედეგების გაზომვისკენ მიმართული ძალისხმევა, რამაც აღნიშნულ კატეგორიაში ყველაზე დაბალი შედეგები განაპირობა. ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე ტენდენციები გვიჩვენებს, რომ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ღია მონაცემების სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე დაკვირვებას და მათ გაზომვას. აღნიშნული პრაქტიკის საქართველოში დანერგვა წახალისებს როგორც ღია მონაცემების კომერციულ გამოყენებას, ისე სამოქალაქო ინიციატივებს.
- მნიშვნელოვანია საქართველოს ღია მონაცემების პორტალის განახლება და ამ მხრივ საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინება. კერძოდ, უფრო მეტი მონაცემის სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის API-ის სახით გამოქვეყნება; გამოქვეყნებული მონაცემების გამრავალფეროვნება; გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზების გამოყენებისა და ახალი სერვისების/აპლიკაციების შექმნის წახალისება, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდება ვებგვერდის შესაბამის სექციაში. ასევე, მნიშვნელოვანია პორტალის უნიკალური მნახველებისა და აქტიური მომხმარებლების საერთო რაოდენობის სისტემური მონიტორინგი, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა.
- კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ერთ-ერთი ტენდენცია უკავშირდება პანდემიის პერიოდში საჯარო მონაცემების/ინფორმაციის გაზრდილ მნიშვნელობას. ამის

ვდეტალური ანალიზი იხილეთ IDFI-ის ანგარიშში:

https://idfi.ge/ge/georgias_performance_in_the_open_data_maturity_2020_report

საპასუხოდ, ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში გვხვდება ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დანერგილი სხვადასხვა აქტივობები (ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მონაცემების გამოყენების წახალისება, მონაცემებზე დაფუძნებული პლატფორმების განვითარება და ა.შ.). საქართველოში ამ თვალსაზრისით აქტიურობა საკმაოდ დაბალია და ჩამორჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს. ამ კუთხით, პირველ რიგში, აუცილებელია Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ღია მონაცემთა ადწერის (Open Data Inventory - ODIN) ძირითადი მიგნებები

ODIN აფასებს ქვეყნების სტატისტიკურ შესაძლებლობებს და მათ შესაბამისობას მონაცემების ღიაობის საერთაშორისო სტანდარტებთან. ინდექსი ფარავს ქვეყნის ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც გამოქვეყნებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე, ან სხვა ეროვნულ პორტალზე, რომელიც დაკავშირებულია სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდთან.

მიუხედავად იმისა, რომ GDB-სა და ODM ინდექსისგან განსხვავებით, ODIN მხოლოდ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობას აფასებს, კვლევაში მაინც იკვეთება რამდენიმე საერთო ტენდენცია და გამოწვევა. უახლესი გამოცემა ფარავს 2020 წლის მონაცემებს. მოცემულ ცხრილზე წარმოდგენილია საქართველოს შედეგები.

რეიტინგი	დაფარვა	ღიაობა	საშუალო
გლობალური 187 ქვეყნიდან	27	32	31
რეგიონული (დასავლეთ აზია) 18 ქვეყნიდან	2	5	4

დაფარვის კომპონენტის მიხედვით, საქართველო დასავლეთ აზიის რეგიონში მეორეს, ხოლო მსოფლიოში 27-ე ადგილს იკავებს. აღნიშნული კომპონენტი მონაცემთა დახარისხებას (Disaggregation), განახლებული და ისტორიული მონაცემების, ასევე ადგილობრივ (თვითმმართველი/ადმინისტრაციული) დონეზე მონაცემთა ხელმისაწვდომობას აფასებს. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ყველაზე დაბალი შედეგი ამ უკანასკნელ კომპონენტში აიღო, ვინაიდან შეფასებული მონაცემთა ბაზების უმეტესობა არ არის ჩამოლილი მუნიციპალიტეტების მიხედვით.

დიაოხის კომპონენტში საქართველო რეგიონში მეხუთეს, ხოლო მსოფლიოში 32-ე ადგილს იკავებს. აღნიშნული კომპონენტი მონაცემების ელექტრონულად დამუშავებად ფორმატებში ხელმისაწვდომობას აფასებს, ასევე, ფასდება მეტამონაცემების სისრულე, ჩამოტვირთვის შესაძლებლობა და გამოყენების პირობები.

მონაცემების კატეგორიები	დაფარვა	დიაოხა	საშუალო
დემოგრაფიული მონაცემები	70	90	80
საგანმანათლებლო დაწესებულებები	30	90	60
საგანმანათლებლო შედეგები	0	0	0
ჯანდაცვის დაწესებულებები	60	60	60
ჯანდაცვის შედეგები	30	90	60
რეპროდუქციული ჯანმრთელობა	60	90	75
კვება და საკვების უსაფრთხოება	63	80	72
გენდერული სტატისტიკა	50	70	60
სამართალდარღვევები ის სტატისტიკა	50	90	70
სიდარიბე და ეკონომიკური აქტივობა	60	90	75
ეროვნული ანგარიშები	75	100	89
დასაქმება	60	90	75
საფასო ინდექსები	75	100	89
საჯარო ფინანსები	75	30	50
მონეტარული და საბანკო სტატისტიკა	100	70	81
საერთაშორისო ვაჭრობა	100	100	100

ფინანსური მაჩვენებლები	100	70	81
მეურნეობა და მიწები	70	70	70
ბუნებრივი რესურსები	75	70	72
ენერგო-რესურსები	100	70	81
დაბინძურება	38	50	44
ინფრასტრუქტურა	50	70	60
საშუალო	62	74	69

ODIN-ის კატეგორიებიდან გამომდინარე მონაცემების ტიპები, რომლებიც ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო საქართველოს შემთხვევაში:

მონაცემების კატეგორია	ინდიკატორი, რაზეც ინფორმაცია სრულყოფილად არ არის ხელმისაწვდომი	აღწერა
საგანმანათლებლო დაწესებულებები	საგანმანათლებლო ხარჯები	განათლებაზე გახარჯული თანხები. ჩამოილი სასწავლო საფეხურის, სასწავლებლის ტიპისა და ხარჯების კატეგორიების მიხედვით
საგანმანათლებლო შედეგები	სასწავლო საფეხურების დასრულების მაჩვენებელი	მოცემულ სასწავლო წელს კონკრეტულ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა პროპორცია, რომლებიც გადავიდნენ მომდევნო კლასში. ჩამოილი სქესის, ასაკის, სასწავლო საფეხურის და სასწავლებლის ტიპის მიხედვით
	უნარების შეფასების გამოცდებში მიღებული შედეგები	ნებისმიერი სტანდარტიზებული ტესტირების შედეგები, რომელიც ტარდება ქვეყანაში მათემატიკაში ან საბუნებისმეტყველო საგნებში უნარების ან ზოგადი წიგნიერების შეფასების მიზნით. ჩამოილი სქესის, ასაკისა და სასწავლო საფეხურის მიხედვით
ჯანდაცვის შედეგები	იმუნიზაციის ხარისხი	იმ ადამიანთა წილი ან რაოდენობა, ვინც იმუნიზირებულია გარკვეული დაავადებების წინააღმდეგ.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა	დედათა სიკვდილიანობის სტატისტიკა	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მოცემულ პერიოდში, შეფარდებული იმავე პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებულ შობადობის მაჩვენებელთან.
კვება და საკვების უსაფრთხოება	შიმშილის სტატისტიკა	მოსახლეობის წილი, ვისი ჩვეული კვებითი მოხმარება ვერ უზრუნველსაყოფს ნორმალური აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შესაწარმუნებლად აუცილებელ დიეტურ მოთხოვნებს.
	საკვების ხელმისაწვდომობის სტატისტიკა	მოსახლეობაში საკვების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები, საკვების ხელმისაწვდომობის სკალის შესაბამისად (FIES).
სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები აკლდა შემდეგ კატეგორიებს:		
საგანმანათლებლო შედეგები	სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი	მოცემულ სასწავლო საფეხურზე ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა, ასაკის მიუხედავად, შეფარდებული ამ სასწავლო საფეხურის შესაბამისი ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან.
ჯანდაცვის შედეგები	დაავადებების გავრცელება	მოცემული წლის ბოლოს დაფიქსირებული კონკრეტული დაავადებების შემთხვევების რაოდენობა.
სამართალდარღვევები ს სტატისტიკა	განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა	განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის მაჩვენებლები
დასაქმება	დასაქმების განაწილება	დასაქმების განაწილება ინდუსტრიის და პროფესიის მიხედვით

საქართველოს შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთილი ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები:

დამუშავებად ფორმატში მეტი მონაცემის გამოქვეყნება:

შესწავლილი ინდიკატორებიდან 10 ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ PDF ფორმატში. იმისათვის, რომ მონაცემები იყოს სტრუქტურირებული და დამუშავებადი, აუცილებელია მათი გამოქვეყნება XML, JSON, CSV, XLSX ან სხვა ღია ფორმატში. მონაცემთა ბაზები, რომლებიც შეფასების მიხედვით ხელმისაწვდომია მხოლოდ PDF ფორმატში, ეხება ჯანდაცვის ხარჯებს, მიწათსარგებლობის

მონაცემებს, მონაცემებს დაცული მიწების შესახებ, მონაცემებს ხეტყის დამზადების/გაუტყეურების შესახებ, ენერგიის მოხმარების მაჩვენებლებს, წყლის რესურსების მოხმარების მაჩვენებლებს და სხვა. აღნიშნული მონაცემები გვხდება სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სხვადასხვა ანგარიშში, თუმცა არ არის გამოქვეყნებული ცალკეული ბაზების სახით.

უფრო ყოვლისმომცველი მეტამონაცემების გამოქვეყნების საჭიროება:

ODIN-ის 40 ინდიკატორის⁴ შემთხვევაში გამოქვეყნებული იყო მონაცემთა ბაზები, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი სრულყოფილი მეტამონაცემებით, წლების მიხედვით. ODIN-ის კრიტერიუმებთან შესაბამისობისთვის მეტამონაცემების მრავალი სტანდარტი შეიძლება იქნას გამოყენებული. სრულყოფილი მეტამონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ სამ კომპონენტს: 1) მონაცემთა წყარო, 2) მონაცემთა აღწერა და 3) მონაცემთა ატვირთვის თარიღი.

განახლებული და ისტორიული მონაცემების გამოქვეყნების საჭიროება:

11 ინდიკატორის⁵ შემთხვევაში მონაცემთა ბაზებს აკლდა სამი ან მეტი წლის მონაცემები უკანასკნელი ხუთი წლიდან, ხოლო 10 ინდიკატორის⁶ შემთხვევაში მონაცემთა ბაზები არ მოიცავდა 6 ან მეტი წლის მონაცემებს უკანასკნელი 10 წლიდან.

ადგილობრივი თვითმმართველი/ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ჩაშლილი მონაცემების გამოქვეყნების საჭიროება

შეფასებული ინდიკატორებიდან 38-ის შემთხვევაში⁷ ხელმისაწვდომი არ იყო გეოგრაფიული/ადგილობრივი ერთეულების დონეზე ჩაშლილი მონაცემები. ქვეყნის განვითარების ეფექტური მონიტორინგისა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, აუცილებელია სტატისტიკური მაჩვენებლების აღრიცხვა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

დასკვნა

განსხვავებული მეთოდოლოგიების მიუხედავად, სამივე განხილული ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე მსგავსი ხარვეზები და გამოწვევები იკვეთება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კუთხით უმნიშვნელოვანესი გამოწვევა

⁴ ინდიკატორების სრული ნუსხა რომლებსაც აკლიათ მეტამონაცემები იხილეთ II დანართში

⁵ ინდიკატორების სრული ნუსხა, რომლებსაც აკლიათ განახლებული ან ისტორიული მონაცემები იხილეთ III დანართში

⁶ ინდიკატორების სრული ნუსხა, რომლებსაც აკლიათ განახლებული ან ისტორიული მონაცემები იხილეთ III დანართში

⁷ ინდიკატორების სრული ნუსხა, რომლებსაც აკლიათ ადგილობრივი ერთეულების მიხედვით ჩაშლილი მონაცემები იხილეთ IV დანართში

არის ღია მონაცემთა მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში ღია მონაცემებთან დაკავშირებული ცალკეული რეფორმა გაატარა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა სტანდარტებს დაექვემდებარა, ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია ღია მონაცემების განკარგვის ერთიანი სტანდარტი, ან შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

ODIN და GDB-ის შედეგებში გამოიკვეთა ადგილობრივი და გეოგრაფიული ერთეულების მიხედვით ჩაშლილი მონაცემების ხელმისაწვდომობის ხარვეზები. საჭიროა მონაცემთა განკარგვის შესაძლებლობების განვითარება ადგილობრივ დონეზე, ასევე ცენტრალიზებული მონაცემების ჩაშლა მუნიციპალური ერთეულების მიხედვით. სამივე ანგარიშში ხაზგასმული კიდევ ერთი საერთო საკითხია საჯარო მონაცემების სოციალური და ეკონომიკური გავლენების შეფასების ინსტრუმენტების ნაკლებობა, რაც მნიშვნელოვანია მონაცემთა ეკოსისტემების შემდგომი განვითარებისა და ყველაზე პრიორიტეტული მონაცემთა ბაზების განსაზღვრისთვის.

გარდა ინსტიტუციური და საკანონმდებლო ხარვეზებისა, იდენტიფიცირებულია კონკრეტული მონაცემთა ბაზები, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი, ან ხელმისაწვდომია შეზღუდულად. ყველაზე პრობლემურ მონაცემთა ბაზებად გამოიკვეთა ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობების მაჩვენებლები, ლობისტური ორგანიზაციების შესახებ მონაცემები, ბენეფიციარი მესაკუთრეების მონაცემები, საგანმანათლებლო ხარჯები, საგანმანათლებლო საფეხურების დასრულების/დამთავრების მაჩვენებლები, იმუნიზაციის მონაცემებს და ა.შ.

და ბოლოს, ODM-ის შედეგები აჩვენებს, რომ აუცილებელია [საქართველოს ღია მონაცემთა პორტალის](#) გაუმჯობესება. პორტალის უწყვეტი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერა, ახალი მონაცემთა ბაზების გამოქვეყნება და არსებული მონაცემების რეგულარული განახლება. ასევე, პორტალზე მონაცემების სხვადასხვა ღია ფორმატში (განსაკუთრებით API სახით) გამოქვეყნება.

მონაცემების ხელმისაწვდომობის სამ სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებაში საქართველოსთან მიმართებით საყურადღებო გამოწვევები და საჭიროებები გამოვლინდა, თუმცა, მათი უმეტესობა ურთიერთდაკავშირებულია და ყოვლისმომცველი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელია მათი აღმოფხვრა. მონაცემების პოლიტიკისა და კარგ პრაქტიკაზე დაფუძნებული საერთო სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გამოკვეთილი გამოწვევების მნიშვნელოვანი ნაწილის დასაძლევად. ამ მიზნით, საჭიროა ძლიერი პოლიტიკური ნება, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღებთა ცნობიერების ამაღლებას ღია მონაცემების გამართული ეკოსისტემის მნიშვნელობის, უპირატესობების და პოტენციური სარგებლის შესახებ.

დანართები

დანართი I

ინდიკატორი	აღწერა
მმართველობის მოდული	
მონაცემთა მართვის მექანიზმები	რამდენად არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და მექანიზმები რომელიც ხელს უწყობს მონაცემების მართვის ყოვლისმომცველ და მდგრად პრაქტიკას
საჯარო მონაცემების მიმოცვლის საკანონმდებლო ჩარჩო	რამდენად არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და მექანიზმები რომელიც ქმნის მონაცემების მიმოცვლის ყოვლისმომცველ ჩარჩოს
ღია მონაცემების პოლიტიკა	რამდენად არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და მექანიზმები რომელიც აწესრიგებს ღია მონაცემების შერჩევას და გამოქვეყნებას
შესაძლებლობების მოდული	
მონაცემების გამოყენების ხელშეწყობა	რამდენად თვალსაჩინოა სახელმწიფოს მხარდაჭერა მომხმარებლების მიერ საჯარო მონაცემების გამოყენების წახალისების მხრივ
ადგილობრივი შესაძლებლობები	რამდენად აქვთ ქალაქებს, რეგიონებს და ადგილობრივ ხელისუფლებებს მონაცემების ეფექტურად მართვის შესაძლებლობები
კლიმატის მონაცემები	
სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობა	რამდენად ხელმისაწვდომია მონაცემები სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შესახებ

ჯანდაცვა და კოვიდ-19	
ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლები რეალურ დროში	რამდენად ხელმისაწვდომია ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლები რეალურ დროში და ღია ფორმატში
უძრავი ქონების რეესტრი	
მონაცემების გამოყენება გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობისთვის	რამდენად ხდება მიწათმფლობელობის მონაცემების გამოყენება გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობისთვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში
პოლიტიკური ანგარიშვალდებულება	
საჯარო კონსულტაციები	რამდენად ხელმისაწვდომია ღია მონაცემები საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობის შესახებ
საჯარო კონსულტაციების მექანიზმები	რამდენად არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და მექანიზმები კონსულტაციების პროცესის ხელშეწყობის და ამ პროცესის ამსახველი მონაცემების გასაჯაროების მიზნით
მონაცემები ლობისტურ ორგანიზაციებზე	რამდენად არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და მექანიზმები ლობისტური ორგანიზაციების შესახებ მონაცემების შეგროვების და გასაჯაროების მიზნით
პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მონაცემების ურთიერთთავსებადობა	რამდენად ურთიერთთავსებადია პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მონაცემებთან ბაზები ერთმანეთთან და სხვა რელევანტურ მონაცემებთან

დანართი II

ნაკლული მეტამონაცემი	ინდიკატორი
მონაცემების აღწერა	• შობადობა • სიკვდილიანობა • სკოლებისა და საკლასო ოთახების

	რაოდენობა • მასწავლებლების რაოდენობა • სასწავლებელში ჩარიცხვის მაჩვენებელი • ჯანდაცვის დაწესებულებების რაოდენობა • დაავადებების გავრცელება • ნეონატალური სიკვდილიანობა • 5 წლამდე სიკვდილიანობა • ორსულობის მაჩვენებლები • არასრულწლოვანთა ორსულობის მაჩვენებელი • ქალთა პროპორციული რაოდენობა ხელისუფლებაში, მენეჯერულ და მმართველ პოზიციებზე • განზრახ მკვლელობის სტატისტიკა • დანაშაულის სტატისტიკა • სიღარიბის მაჩვენებელი • დასაქმების განაწილება • მიწათსარგებლობის სტატისტიკა • საქონლის წარმოება • ენერგორესურსების მოხმარება • ენერგორესურსები • ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება • ჰაერის და წყლის დაბინძურება
თარიღი	• მოსახლეობაში ჭარბი წონის გავრცელება • ბავშვებში შეფერხებული ზრდის მაჩვენებელი • კომუნალური ნარჩენების მაჩვენებლები • ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროპორციული რაოდენობა • არასრულწლოვანთა ქორწინების სტატისტიკა
თარიღი და მონაცემების აღწერა	• ჯანდაცვის ხარჯები • წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი • სანიტარული პირობებით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი • ოთახების და საძინებლების რაოდენობა • ელექტროენერგიაზე წვდომა • მონაცემები სამშენებლო მასალებზე • კონტრაცეპტივების გამოყენების მაჩვენებელი
წყარო, თარიღი, და მონაცემების აღწერა	• რეალურ შემოსულობები • რეალური ხარჯები • თევზჭერის მონაცემები

დანართი III

განუახლებელი მონაცემთა ბაზები	მონაცემთა ბაზები, რომლებსაც აკლია ისტორიული მონაცემები
• ჯანდაცვის ხარჯები • კონტრაცეპტივების გამოყენების მაჩვენებელი • მოსახლეობაში ჭარბი წონის გავრცელება • ბავშვებში შეფერხებული ზრდის მაჩვენებელი • კომუნალური ნარჩენების მაჩვენებლები • ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროპორციული ოდენობა • არასრულწლოვანთა ქორწინების სტატისტიკა • პენიტენციური დაწესებულებების სტატისტიკა • ჰაერის და წყლის დაბინძურება • ოთახების და საძინებლების რაოდენობა • მონაცემები სამშენებლო მასალებზე	• მოსახლეობაში ჭარბი წონის გავრცელება • ბავშვებში შეფერხებული ზრდის მაჩვენებელი • კომუნალური ნარჩენების მაჩვენებლები • ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროპორციული ოდენობა • არასრულწლოვანთა ქორწინების სტატისტიკა • პენიტენციურ დაწესებულებების სტატისტიკა • თევზჭერის მონაცემები • სანიტარული პირობებით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი • ოთახების და საძინებლების რაოდენობა • მონაცემები სამშენებლო მასალებზე

დანართი IV

ODIN ინდიკატორი	მონაცემები ჩაშლილია/დახარისხებულია კატეგორიებით
დემოგრაფიული მონაცემები	სქესი, ოჯახური მდგომარეობა, 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფები
სიკვდილიანობა	სქესი
სკოლებისა და საკლასო ოთახების რაოდენობა	სასწავლო საფეხური, სასწავლებლის ტიპი
მასწავლებლების რაოდენობა	სასწავლო საფეხური, სასწავლებლის ტიპი
სასწავლებელში ჩარიცხვის მაჩვენებელი	სქესი, ასაკი, სასწავლო საფეხური, სასწავლებლის ტიპი
ჯანდაცვის დაწესებულებების რაოდენობა	დაწესებულების ტიპი
საწოლების რაოდენობა ან სამედიცინო პერსონალის შესახებ მონაცემები	დაწესებულების ტიპი, განყოფილების ტიპი, მომსახურე პერსონალი

ჯანდაცვის ხარჯები	ხარჯთა კატეგორიები
დაავადებების გავრცელება	ასაკი, სქესი, დაავადების ტიპი
ნეონატალური სიკვდილიანობა	სქესი
5 წლამდე სიკვდილიანობა	სქესი
შობადობა	არცერთი კატეგორიით
შობადობა არასრულწლოვანთა შორის	არცერთი კატეგორიით
ქალთა პროპორციული რაოდენობა ხელისუფლებაში, მენეჯერულ და მმართველ პოზიციებზე	არცერთი კატეგორიით
განზარახ მკვლელობის მაჩვენებელი	მსხვერპლის სქესი, მსხვერპლის ასაკი, დამნაშავეს სქესი, დამნაშავეს ასაკი, მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის წინარე ურთიერთობის ხასიათი
დანაშაული სტატისტიკა	დანაშაულის ტიპი, მსხვერპლის სქესი, მსხვერპლის ასაკი, დამნაშავეს სქესი, დამნაშავეს ასაკი, მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის წინარე ურთიერთობის ხასიათი
პენიტენციურ დაწესებულებების სტატისტიკა	ასაკი, სქესი, სტატუსი
სიღარიბის მაჩვენებელი	არცერთი კატეგორიით
შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე Gini-ის კოეფიციენტის მიხედვით	არცერთი კატეგორიით
მთლიანი შიდა პროდუქტი (წარმოების მიხედვით)	ინდუსტრია
მთლიანი შიდა პროდუქტი (ხარჯვის მიხედვით)	ხარჯთა კატეგორიები
მთლიანი შიდა პროდუქტი (შემოსავლების მიხედვით)	შემოსავლის კომპონენტები
დასაქმების მაჩვენებელი	სქესი, ასაკი
დასაქმების განაწილება	ინდუსტრია, საქმიანობა, სქესი
უმუშევრობის მაჩვენებელი	სქესი, ასაკი
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	არცერთი კატეგორიით

მწარმოებელთა ფასების ინდექსი	არცერთი კატეგორიით
რეალური შემოსავლები	შემოსავლის წყარო
რეალური ხარჯები	ადმინისტრაციული კლასიფიკაცია,, ეკონომიკური კლასიფიკაცია, ფუნქციონალური კლასიფიკაცია
მონაცემები დაცული ტერიტორიების შესახებ	არცერთი კატეგორიით
საქონლის წარმოება	საქონლის ტიპი
თევზჭერის მონაცემები	არცერთი კატეგორიით
მონაცემები მომპოვებელი აქტივობების შესახებ	აქტივობის ტიპი
წყლის მოხმარება	სექტორი
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	დამბინძურებლის ტიპი
ჰაერის და წყლის დაბინძურება	დამბინძურებლის ტიპი
წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მინამეურნეობების წილი	წყლის მომარაგების ტიპი
სანიტარული პირობებით უზრუნველყოფილი მინამეურნეობების წილი	სანიტარული საშუალების ტიპი



ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო



info@idfi.ge



+ 995 32 292 15 14



www.idfi.ge